საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-646

10/05/2021

ქ. თბილისი

**„არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე ახალი ორჯაჭვა 2x127 [2x255]მგვტ გამტარუნარიანობის 110 კვ ეგხ „ახმეტა-თელავი-წინანდალი-მუკუზანი-გურჯაანის მშენებლობის და ექსპლუატაციის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N 2-310 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

„არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე ახალი ორჯაჭვა 2x127 [2x255]მგვტ გამტარუნარიანობის 110 კვ ეგხ „ახმეტა-თელავი-წინანდალი-მუკუზანი-გურჯაანის მშენებლობის და ექსპლუატაციის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N 2-310 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N30 (15.03.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

**„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე ახალი ორჯაჭვა 2x127 [2x255]მგვტ გამტარუნარიანობის 110 კვ ეგხ „ახმეტა-თელავი-წინანდალი-მუკუზანი-გურჯაანის მშენებლობის და ექსპლუატაციის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N 2-310 ბრძანება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას";
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანის, თელავისა და ახმეტის

მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი